

**ბათუმის მე-13 საერთაშორისო კონფერენცია
„საქართველოს ევროპული გზა“**

სტაბილურობა, განვითარება, მრავალფეროვნება

**14-15 ივლისი, 2016
ბათუმი, საქართველო**

დღე 1

14 ივლისი	სასტუმრო „ჰილტონ ბათუმი“, საკონფერენციო დარბაზი „რუსთაველი“, პირველი სართული
09:00 - 09:30	რეგისტრაცია
კონფერენციის გახსნა	
09:30 - 10:00	მისალმება:
	ბ-ნი დავით ბაქრაძე - საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ბ-ნი რასტისლავ კაჩერი - ელჩი, გლობალური უსაფრთხოების ფორუმის (GLOBSEC) თავმჯდომარე, სლოვაკეთის რესპუბლიკა
10:00 - 10:20	კონფერენციის მონაწილეებისადმი მიმართვა:
	ბ-ნი გიორგი კვირიკაშვილი - საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბ-ნი იოჰანეს ჰანი - ევროკომისარი ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების შესახებ მოლაპარაკებების საკითხებში
10:30-12:00	სესია I
ევროკავშირის პოლიტიკა ევროპული სამეზობლოს მიმართ და სლოვაკეთის რესპუბლიკის ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარეობის გამოწვევები (GLOBSEC-თან პარტნიორობით)	
2016 წლის ივლისიდან სლოვაკეთის რესპუბლიკა მომდევნო ნახევარი წლის განმავლობაში ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა იქნება. ხოლო პოლონეთის რესპუბლიკა ამავე პერიოდში ვიშეგრადის ჯგუფის თავმჯდომარე გახდება. ვიშეგრადის რეგიონული თანამშრომლობა წელს მისი დაარსების 25 წლისთავს აღნიშნავს. სესიის მიზანია სლოვაკეთის ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარეობის მთავარი	

პრიორიტეტების გაცნობა ისეთ საკითხებში, როგორცაა: გაფართოების დღის წესრიგი, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და „აღმოსავლეთ პარტნიორობა“. ასევე, ვიშეგრადის ჯგუფსა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობების წარმოჩენა რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური გამოწვევების კონტექსტში.

ფორმატი: მოდერირებული დისკუსია

მოდერატორი:	ბ-ნი ჰენრი ფოი - გამოცემა Financial Times-ის ცენტრალური ევროპის საკითხთა კორესპონდენტი
მომხსენებლები:	<ol style="list-style-type: none"> 1. ბ-ნი დავით უსუფაშვილი - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე 2. ბ-ნი რუდოლფ მიხალკა - სლოვაკეთის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში 3. ბ-ნი იაროსლავ ობრემსკი - პოლონეთის რესპუბლიკის სენატის საგარეო და ევროპულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე 4. ბ-ნი იშტვან მიკოლა - უნგრეთის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის სამინისტროს უსაფრთხოების პოლიტიკისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მინისტრი 5. ბ-ნი იაროსლავ ლუდვა - ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის უმცროსი მოადგილე

12:00 -12:30	შესვენება
12:30 - 14:00	სესია II

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის მიმოხილვა და მისი პრიორიტეტები ასოცირებული ქვეყნებისათვის

2009 წლიდან, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივის ამოქმედების შემდეგ ხანგრძლივი გზა გაიარა ევროკავშირსა და მის პარტნიორ ქვეყნებს შორის ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის დღის წესრიგის ჩამოყალიბების კუთხით. 2014 წელს, საქართველომ, უკრაინამ და მოლდოვამ ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერით კიდევ ერთხელ დაადასტურეს თავიანთი ევროპული არჩევანი და ევროკავშირში გაწევრიანების სურვილი. ამ შეთანხმებებით მხარეებს შორის ორმხრივი თანამშრომლობა ახალ ეტაპზე გადავიდა. ასოცირებულმა პარტნიორებმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს ასოცირების შესახებ შეთანხმებების და მათი შემადგენელი კომპონენტის „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცისა“ და ვიზა-ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმების პოლიტიკური და ეკონომიკური ნაწილის განხორციელების მხრივ.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნების განსხვავებულმა ამბიციებმა და ინტერესებმა ევროკავშირთან თანამშრომლობის თვალსაზრისით ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის გადახედვის საჭიროება გამოიწვია. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივის ერთიანობის შენარჩუნება განსაკუთრებით მრავალმხრივ ფორმატში, ევროკავშირისა და მისი პარტნიორი ქვეყნების ერთ-ერთ პრიორიტეტად რჩება.

ფორმატი: მოდერირებული დისკუსია

მოდერატორი: **ბ-ნი მაიკლ შპინდელეგერი** - მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის დირექტორი, ავსტრიის რესპუბლიკის ყოფილი ვიცე-კანცლერი

- მომხსენებლები:**
1. **ბ-ნი მიხეილ ჯანელიძე** - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი
 2. **ბ-ნი კარლ ჰაინც კოპფი** - ავსტრიის რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს მეორე პრეზიდენტი
 3. **ბ-ნი ლუკ პიერ დევინი** - ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურის რუსეთის, აღმოსავლეთ პარტნიორობის, ცენტრალური აზიისა და ეუთოს დირექტორი, ევროპისა და ცენტრალური აზიის დირექტორის მოადგილე
 4. **ბ-ნი გიუნტერ ფერჰოიგენი** - ყოფილი ევროკომისარი გაფართოებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში
 5. **ბ-ნი ვიქტორ დოლიძე** - საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტისა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრი, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ საპარლამენტო ასამბლეის თანაპრეზიდენტი

პრეზენტაცია (7 წუთი) ანაკლია, გზაგასაყარი ევროპასა და აზიას შორის
მომხსენებელი: ბ-ნი კევინ კალენი - სტრატეგიული და ბიზნეს განვითარების დირექტორი, კონტი ჯგუფი (The Conti Group)

14:00-15:00 **ლანჩი**
 სასტუმრო „ჰილტონ ბათუმი“, რესტორანი „პელიონი“, ნულოვანი სართული

15:00-16:30 **სესია III**

თანამედროვე უსაფრთხოების არქიტექტურა: გამოწვევები და შესაძლებლობები (The Chatham House Rule)

ცივი ომის შემდგომი პერიოდის ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის დეზინტეგრაციის ტემპი ნამდვილად საგანგაშოა. რუსეთის სამხედრო ინტერვენცია - საქართველოში 2008 წელს და უკრაინაში 2014 წელს, შედეგად საქართველოს რეგიონების

- აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, ხოლო უკრაინაში ყირიმის ოკუპაცია და მიმდინარე ომი აღმოსავლეთ უკრაინაში ცხადყოფს ევროპის კონტინენტზე ახალი უსაფრთხოების სტრუქტურის ჩამოყალიბების საჭიროებას. რუსეთი მოხერხებულად იყენებს ჰიბრიდული ომის ყველა შესაძლო საშუალებას, მათ შორის, საინფორმაციო ომს, ენერგოდამოკიდებულების ბერკეტს და პოლიტიკურ ლობირებას, იმისათვის რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს ევროპის ერთიანი უსაფრთხოების კონცეფცია. მიმდინარე კრიზისის მოგვარებისა და რეგიონში თანამშრომლობის გაძლიერებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, ევროპის უსაფრთხოების სტრატეგია საჭიროებს თანმიმდევრული პოლიტიკისა და შესაბამისი მეთოდების შემუშავებას არსებული გამოწვევების საპასუხოდ.

ფორმატი: მოდერირებული დისკუსია

მოდერატორი: ქ-ნი ქეთევან ციხელაშვილი - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე

- მომხსენებლები:**
1. ქ-ნი თინათინ ხიდაშელი - საქართველოს თავდაცვის მინისტრი
 2. ბ-ნი ჰერბერტ ზალბერი - სამხრეთ კავკასიაში და საქართველოში კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი
 3. ბ-ნი ბოგდან კლიხი - პოლონეთის რესპუბლიკის სენატის უმცირესობის ლიდერი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი
 4. ბ-ნი იაშარ იაკიში - თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი
 5. ბ-ნი იშტვან იარმატი - დემოკრატიის სახალხო ფონდის ცენტრის პრეზიდენტი, უნგრეთი

პრეზენტაცია (5 წუთი) ქ-ნი ქეთევან ციხელაშვილი - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე

18:00 ქართული ეროვნული ბალეტის - სუბიშვილების კონცერტი ღია ცის ქვეშ (პროექტის "Check In Georgia" ფარგლებში)

19:00 კონფერენციის გახსნისადმი მიძღვნილი საღამო
სასტუმრო „ჰილტონ ბათუმი“, Sky-bar Nephele, მე-20 სართული

21:00-22:30 ღამის სესია

ბრიტანეთის რევერენდუმის შედეგები და ევროპის მომავალი (*The Chatham House Rule*)
სასტუმრო „ჰილტონ ბათუმი“, საკონფერენციო დარბაზი „რუსთაველი“, I სართული

დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის 52%-მა 48%-ის წინააღმდეგ მხარი დაუჭირა ევროკავშირიდან გასვლას. ევროკავშირის ხელშეკრულების 50-ე მუხლის თანახმად, მომდევნო წლების განმავლობაში ევროპელი და ბრიტანელი ლიდერები გაერთიანებული სამეფოს გასვლის კონკრეტულ პირობებზე უნდა შეთანხმდნენ. მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო შედეგების ნახვა რამდენიმე წლის შემდეგ იქნება შესაძლებელი, გარკვეული გამოწვევები უკვე სახეზეა, რაც გამოიხატა ბრიტანული ფუნქტის 10%-ით გაუფასურებასა და შოტლანდიისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ლიდერების მიერ ბრიტანეთის შემადგენლობიდან გასვლის რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნაში. უფრო მეტიც, ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლამ უარყოფითი ეფექტი იქონია მთელს ევროპაზე, ვინაიდან იტალიაში, საფრანგეთში, ნიდერლანდებსა და დანიაში ევროსკეპტიკოსი პოლიტიკოსები მსგავსი რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით გამოდიან.

ფორმატი: მოდერიზებული დისკუსია

მოდერატორი:	ბ-ნი ფრეიზერ კამერონი - ევროკავშირ-აზიის ცენტრის დირექტორი, ბრიუსელი
მომხსენებლები:	<ol style="list-style-type: none"> 1. ქ-ნი ალექსანდრა მერი ჰოლ ჰოლი - დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ელჩი საქართველოში 2. ბ-ნი გიუნტერ ფერჰოიგენი - ყოფილი ევროკომისარი გაფართოებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში 3. ბ-ნი იანოშ ჰერმანი - ევროკავშირის ელჩი საქართველოში 4. ბ-ნი მაურიციო გრეგანტი - იტალიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა და საერთაშორისო თანამშრომლობის სამინისტროს პოლიტიკური და უსაფრთხოების საქმეთა გენერალური დირექტორატის, რუსეთის ფედერაციის, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის განყოფილების უფროსი 5. ქ-ნი ნატალია საბანაძე - საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბელგიის სამეფოში და საქართველოს წარმომადგენელი ევროკავშირში

დღე 2

15 ივლისი	სასტუმრო „ჰილტონ ბათუმი“, საკონფერენციო დარბაზი „რუსთაველი“, I სართული
10:00-10:45	დიალოგი პრეზიდენტთან
მოდერატორი:	ბ-ნი რასტისლავ კაჩერი - ელჩი, გლობალური უსაფრთხოების ფორუმის

	(GLOBSEC) თავმჯდომარე, სლოვაკეთის რესპუბლიკა
მომხსენებელი:	საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი
10:50-12:15	სესია I
სასტუმრო „ჰილტონ ბათუმი“, საკონფერენციო დარბაზი „რუსთაველი“, I სართული	
ევროკავშირის საკითხებზე სტრატეგიული კომუნიკაცია და ანტი-დასავლური პროპაგანდა	
<p>ბოლო პერიოდში განხორციელებულ ფართომასშტაბიანი რუსული საინფორმაციო ომის ფონზე სტრატეგიულმა კომუნიკაციამ სრულიად ახალი დანიშნულება შეიძინა. ის წარმოადგენს არამარტო გრძელვადიანი პოლიტიკის შემუშავების ინსტრუმენტს, არამედ ცრუ ფაქტების, ყალბი ინფორმაციისა და დამახინჯებული რეალობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის ერთადერთ ეფექტურ მექანიზმს. იმ არსებული გამოწვევების საპასუხოდ რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ევროპის მშვიდობასა და სტაბილურობაზე საჭიროა ევროკავშირის დონეზე სტრატეგიული კომუნიკაციის გაუმჯობესება და ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარების მექანიზმის შემუშავება. ასევე, სასურველია ერთობლივი პოზიციის ჩამოყალიბება, სახალხო დიპლომატიის ექსპერტებს შორის კავშირების დამყარება და ანტი-დასავლური პროპაგანდის დასაძლევად, ძლიერი კომუნიკაციის სტრატეგიის განხორციელება.</p>	
ფორმატი: მოდერირებული დისკუსია	
მოდერატორი:	ბ-ნი ტომ ნუტალი - გამოცემა The Economist -ის შარლემანის მიმომხილველი
მომხსენებლები:	<ol style="list-style-type: none"> 1. ბ-ნი დავით ბაქრაძე - საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში 2. ბ-ნი ჯაილზ პორტმანი - ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურის აღმოსავლეთ სტრატეგიული კომუნიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი 3. ბ-ნი კალე პოლინგი - ესტონეთის პარლამენტის ევროპულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე 4. ბ-ნი ლინკოლნ მიტჩელი - პოლიტიკური განვითარება, სტრატეგიული კომუნიკაციები და კვლევა, ა.შ.შ. 5. ბ-ნი რუსლან დეინიჩენკო - საინფორმაციო პორტალის StopFake.org-ის აღმასრულებელი დირექტორი, უკრაინა
12:15-13:15	ლანჩი სასტუმრო „ჰილტონ ბათუმი“, რესტორანი „პელიონი“, ნულოვანი სართული
პრეზენტაცია (5 წუთი)	მომხსენებელი ბ-ნი შტეფან ლინდერი - რეგიონის დირექტორი, მედტრონიკი (Medtronic)

13:20-14:50	სესია II
ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA), საკანონმდებლო რეფორმები და ეკონომიკური გაფლენა	
<p>საქართველოსა და ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება“. DCFTA-ის მიზანია, სავაჭრო და ვაჭრობასთან დაკავშირებულ სფეროებში ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოების გზით, მოახდინოს საქართველოს ეკონომიკის ევროკავშირის ეკონომიკასთან ინტეგრაცია. DCFTA-ის კოორდინირებული და ეფექტიანი განხორციელების მიზნით, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა DCFTA-ის განხორციელების სამოქმედო გეგმა 2014-2017 წლებისთვის. DCFTA-ის საკითხები 2015 წლიდან, ასევე, წარმოადგენს ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების ყოველწლიური ეროვნული სამოქმედო გეგმის ნაწილს. DCFTA-ის განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოში საინვესტიციო კლიმატისა და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, ადგილობრივი წარმოებისა და დასაქმების ზრდას და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ამასთან, DCFTA-ის განხორციელება იძლევა შესაძლებლობას, საქართველო იქცეს ევროკავშირში საექსპორტო პლატფორმად იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც არ აქვთ თავისუფალი წვდომა ევროპულ ბაზარზე.</p>	
ფორმატი: მოდერირებული დისკუსია	
მოდერატორი:	ქ-ნი დანიელა მორარი - მოლდოვას რესპუბლიკის საგარეო საქმეთა და ევროპასთან ინტეგრაციის მინისტრის მოადგილე
მომხსენებლები:	<ol style="list-style-type: none"> 1. ბ-ნი დიმიტრი ქუმსიშვილი - საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი 2. ქ-ნი კატარინა მატერნოვა - ევროკომისიის, ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების მოლაპარაკებების გენერალური დირექტორატის გენერალური დირექტორის მოადგილე 3. ქ-ნი მარია ასენიუსი - ვაჭრობის საკითხში ევროკომისარის კაბინეტის უფროსი 4. ქ-ნი ანა ბირჩალი - რუმინეთის რესპუბლიკის დეპუტატების პალატის ევროპულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე 5. ბ-ნი მაიკლ ემერსონი - ევროპული პოლიტიკის კვლევის ცენტრის ასოცირებული უფროსი მკვლევარი, ბელგიის სამეფო
14:50-15:20	შესვენება
15:20-17:05	სესია III

დოკუმენტური ფილმის ჩვენება „ევროპა საქართველოში“, რეჟისორი: **თომა ჩაგელიშვილი**

საერთაშორისო დახმარების როლი საქართველოს ევროინტეგრაციის რეფორმების პროცესში - გამოწვევები და შესაძლებლობები

ევროკავშირი იყო ერთ-ერთ პირველი, რომელმაც საქართველოს აღმოუჩინა დახმარება გარდამავალი პერიოდის ადრეულ რთულ წლებში. მას შემდეგ ევროკავშირი ყოველწლიურად მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას უწევს საქართველოს დემოკრატიული განვითარების მხარდასაჭერად. 2014 წელს, ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერით, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები გადავიდა თვისობრივად ახალ და უფრო მაღალ საფეხურზე. ევროინტეგრაცია გახდა ქვეყნის საშინაო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი, რაც აყალიბებს საქართველოს „ევროპული გზის“ მტკიცე საფუძველს. სწორედ ამ თვალსაზრისით, ევროკავშირის დახმარებას მნიშვნელოვანი როლი აკისრია ასოცირების შეთანხმების შესრულებისა და მასთან დაკავშირებული რეფორმების განხორციელების პროცესში. წარმატებით გატარებული რეფორმების ფონზე, ევროკავშირის, მისი წევრი სახელმწიფოებისა და სხვა დონორი ორგანიზაციების მიერ გაწეული ფინანსური მხარდაჭერა საგრძნობლად გაიზარდა. ამავდროულად, საქართველოსთვის ხელმისაწვდომი გახდა ევროკავშირის დახმარების ახალი და მრავალისმომცველი ინსტრუმენტები.

ფორმატი: მოდერირებული დისკუსია

მოდერატორი:	ბ-ნი ლაშა დოლიძე - FAO-ს პროექტის „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაძლებლობების განვითარება“ ხელმძღვანელის მოადგილე
მომხსენებლები:	<ol style="list-style-type: none">1. ქ-ნი თეა წულუკიანი - საქართველოს იუსტიციის მინისტრი2. ბ-ნი ვინსენტ რეი - თანამშრომლობის დეპარტამენტის უფროსი, ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში3. ბ-ნი ვეინო რეინარტი - ესტონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ეკონომიკისა და განვითარების საკითხებში4. ბ-ნი ფრანსუა ლაფონი - Science Po Paris-ის ასოცირებული პროფესორი5. ბ-ნი კახაბერ გოგოლაშვილი - აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორი

სამუშაო ენები: ქართული და ინგლისური

19:00

კონფერენციის დახურვისადმი მიძღვნილი საზეიმო ვახშამი (მოსაწვევებით)

დღე 3

16 ივლისი

ღვინის დაჭაშნიკება - აჭარული ღვინის სახლი - www.awh.ge

10:30

გამგზავრება სასტუმრო „ჰილტონ ბათუმიდან“